ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის #10/18489 პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მ/წ 29 ოქტომბერს 5 საათზე, გლდანის რაიონის გამგეობაში შედგება ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენა ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი 21 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი /კ.კობალაძე/

22

№10/18489 23.10.15




ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი

კობა კობალაძე

2015წ.

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის

# კობა კობალაძის

# ბიუროს საქმიანობის ანგარიში

შინაარსი:

1. შესავალი
2. საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების სხდომები
3. შემოსული განცხადებები
4. რეაგირება შემოსულ განცხადებებზე
5. შეხვედრები
6. ძირითადი პრობლემატიკა
7. შემაჯამებელი მიმოხილვა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ცნობის დღიდან დეპუტატი კობა კობალაძე აქტიურადაა ჩართული საკრებულოს მუშაობში. იგი არის ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წევრი, აგრეთვე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე უფლების აღიარების კომისიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის და გარემოს დაცვის კომისიის წევრი.

2014 წლის აგვისტოდან დღემდე დეპუტატმა მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 16 სხდომაში, ასევე მიწის ლეგალიზების კომისიის 38 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 4126 განცხადება, აქედან დადებითად გადაწყდა 1214, უარი ეთქვა 879-ს, შესასწავლად გადაიდო 1663. დეპუტატი ასევე დაესწრო გარემოს დაცვის კომისიის 13 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 27 საკითხი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 17 სხდომას.

წარმოგიდგენთ ფრაქციის დღის წესრიგს:

#-1 დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" 2014 წლის ანგარიში და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ.

#2

1. სოციალურად დაუცველი სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის გადასახადის შესაძლო დაფინანსების შესახებ ქ.თბილისის მერიის ბიუჯეტიდან.
2. უფასო სასადილოებში ბენეფიციარების კვების რაციონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოსთვის“ ფრაქციის წევრთა მოსაზრებები დღის წესრიგით დაყენებული საკითხების შესახებ.

#-3

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ჯაჭვლიანი).
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე).

#-4

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელიკეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი ავთანდილ სუდაძე).
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე).

#-5

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელი არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო ღოღობერიძე).
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე).

#-6

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი).
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე).

#-7

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2015 წლის 6 თვის (სექტემბერი - თებერვალი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
   მომხსენებელი - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.
   მომხსენებელი - ფრაქციის თავმჯდომარე რიმა ბერაძე.

#-8

1. ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2015 წლის 6 თვის (სექტემბერი - თებერვალი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
   მომხსენებელი - საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი თემურ თორდინავა.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს არსებული მდგომარეობის შესახებ.
   მომხსენებელი - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ტაღლიაშვილი.

9

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - ზაზა გაბუნია
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - ბესიკ ქარცივაძე
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - გიორგი კოპალეიშვილი
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - ვახტანგ ქიზიყურაშვილი
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ნაძალადევის, გლდანის, კრწანისის და ისნის რაიონების I კვარტალში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
   მომხსენებელი - რიმა ბერაძე

ნაძალადევი

10

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - მამუკა ჩოქური
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - ბექა მიქაუტაძე
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - გიორგი კოპალეიშვილი
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - გელა არჩვაძე
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა სამგორის, საბურთალოს, მთაწმინდის და ვაკის რაიონების I კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
   მომხსენებელი - რიმა ბერაძე

სამგორი

11

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - ზურაბ ჩიკვილაძე
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
   მომხსენებელი - ირმა ზავრადაშვილი
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ჩუღურეთის, დიდუბის, რაიონების I კვარტალში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
   მომხსენებელი - რიმა ბერაძე

12

1. ერთაშორისი ურთიერთობების შესახებ.
   მომხსენებელი - გიორგი ალიბეგაშვილი
2. თბილისში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების პრობლემების და სამომავლო გეგმების დასახვის შესახებ.
   მომხსენებელი - რიმა ბერაძე
3. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობის საბჭოს მუშაობის შესახებ.
   კობა ჩოპლიანი - ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორი.
4. დისკუსია ეროვნული უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებით .

მიხეილ აიდინოვი ეროვნული უმცირესობების ლიდერთა საბჭოს კოორდინატორი.

13

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის შესახებ.

14

- სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების წესი;
- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ სოციალურად დაუცველთათვის „სეთ-თოფ ბოქსების" გადაცემის წესი.

15

ქ. თბილისის განვითარების ფონდის შესახებ

16

გამგეობების 9 თვის ანგარიშის მოსმენა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის აკჭალის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა კობალაძის ბიურომ ფუნქციონირება დაიწყო 2014 წლის 18 აგვისტოს. ამჟამად ბიუროში დასაქმებულია სამი ადამიანი:

1. მამუკა მარიამიძე - ბიუროს ხელმძღვანელი
2. ანდრო კაპანაძე - სპეციალისტი
3. თამთა ჩეჩელაშვილი - სპეციალისტი

ბიურო მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, შესაბამისად ყოველდღე წარმოების მოქალაქეთა მიღება. გლდანის რაიონის გამგეობაში ყოველ პარასკევს იმართება შეხვედრა მოსახლეობასთან, რასაც სისტემატურად ესწრება ბიუროს ხელმძღვანელი და აწარმოებს 'მესაბამის მონიტორინგს. ბიუროს თანამშრომლები ორგანიზებას უწევენ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის საჯარო შეხვედრებს, აწარმოებენ მოქალაქეთა მიღებას დეპუტატის არყოფნის პერიოდში, გასცემენ კონსულტაციებს შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში, აანალიზებენ შემოსული განცხადებების არსს და ახდენენ სათანადო რეაგირებას.

ბიუროს საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ.თბილისი, დ.სარაჯიშვილის №5

ტელეფონი: 032 2 65 00 07

ელექტრონული ფოსტა: Avchalabiuro@yahoo.com

# შემოსული განცხადებები

ბიუროს გახსნის პირველივე დღიდან დეპუტატის დავალებით მოხდა იმ წერილების შესწავლა-დახარისხება პრობლემატიკის მიხედვით, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობამ გადასცა დეპუტატს. აღნიშნული წერილების შესწავლის შემდეგ მოხდა მოქალაქეებთან დაკავშირება, რათა შემდგომი რეაგირებისათვის წერილს მიეღო განცხადების სახე.

აქტიური წინასარჩევნო კამპანიიდან გამომდინარე დეპუტატისთვის და ბიუროს თანამშრომლებისათვის მეტნაკლებად ცნობილი იყო ავჭალის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრობლემატიკა, რაც ასევე ნათლად გამოჩნდა მოსახლეობის ოთხშაბათის მიღებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში 2014 წლის 18 აგვისტოდან დღემდე შემოსულია 803 განცხადება. განცხადებები გადახარისხდა თემატიკის მიხედვით, გამოიკვეთა ძირითადი პრობლემური საკითხები: სოციალური დაცვა, მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების, სანიაღვრე და წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება, მიწის ლეგალიზება და სხვადასხვა ცალკეული თემები, როგორიცაა გამრიცხველიანება, ტრანსპორტთან დაკავშირებული მოთხოვნები, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ.

# რეაგირება შემოსულ განცხადებებზე

ზემოაღნიშნული 803 განცხადება დახარისხდა მთემატიკის მიხედვით. სტატისტიკა აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგნაირად გამოიყურება:

1. სამედიცინო მომსახურების/მედიკამენტების დაფინანსება – 268 განაცხადი (დაკმაყოფილდა 259, 9 მათგანს ეთქვა უარი. აღნიშნული 268 განაცხადიდან 98 დაკმაყოფილდა ქ.თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ, ოდენობით, ხოლო 161 განაცხადი დაკმაყოფილდა გლდანის რაიონის გამგეობის მიერ)
2. რეკომენდაცია დასაქმების/სამსახურში აღდგენის თაობაზე – 72 განაცხადი (დაკმაყოფილდა 37)
3. კეთილმოწყობა (გზის საფარი, სანიაღვრე/წყალგაყვანილობის სისტემა, გარე განათების სისტემა) – 99 განაცხადი (დაკმაყოფილდა 40 განაცხადი, აქედან 2– საავტომობილო მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერების თაობაზე მშვიდობის ქუჩაზე, 5 – გარე განათების თაობაზე: კასკადის ქუჩა, გლდანულის ქუჩა, 26 მაისის ქუჩის ნაწილი, აღმაშენებლის ქუჩის ნაწილი, თამარ მეფის ქუჩის ძირითადი ნაწილი. ასევე 18 განაცხადი გზის საფართან დაკავშირებით: დ.სარაჯიშვილის გამზირი, მშვიდობის ქუჩა, კასკადის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას და ჭავჭავაძის ქუჩები ავჭალა 2-ის დასახლებაში, აგრეთვე კაჭარავას ქუჩის ჩიხები. და ე.ანდრონიკაშვილისა და ლიბანის ქუჩის დამაკავშირებელი მონაკვეთი. მოეწყო გლდანულას და კობერიძის ქუჩების დამაკავშირებელი კიბე, ასევე გლდანულაში, გლდანის ხევის I და Iა კორპუსების მიმდებარედ დამონტაჟდა კიბის საფეხურები. ჯანჯღავასა და კულა გლდანელის ქუჩებზე მოეწყო საკანალიზაციო ქსელი, დაიდგა სკამები მშვიდობის, გლდანულას, დ.სარაჯიშვილისა და ჯანჯღავას ქუჩებზე, ასევე დაიდგა ფანჩატური გლდანულას ქუჩაზე. შეკეთდა დ.სარაჯიშვილის №19 კორპუსის ავარიული აივნები, ლიბანის №8 კორპუსის სახურავი, ყოფილი სასტ. "ბახტრიონის"

სახურავი. რაც შეეხება დანარჩენ განაცხადებს, ისინი გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტში)

4. სამშენებლო მასალები – 41 განაცხადი (დაკმაყოფილდა 17, 12-ს ეთქვა უარი, 2 განაცხადი არის პასუხის მოლოდინში)
5. მყარი საწვავი (შეშა) – 55 განაცხადი (15 დაკმაყოფილდა, დანარჩენი პასუხის მოლოდინშია)
6. გამრიცხველიანება(ბუნებრივი აირი/ელ.ენერგია/სასმელი წყალი) - 18 განაცხადი (დაკმაყოფილდა 8, 10 – პასუხის მოლოდინშია)
7. სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება/აღდგენა – 24 განაცხადი (8 მათგანს უარი ეთქვა, 2 – დაკმაყოფილდა, 14 - პასუხის მოლოდინშია)
8. საცხოვრებელი ფართი/ბინის ქირა – 21 განაცხადი ( 18 მათგანს ეთქვა უარი)
9. მიწის ლეგალიზება – 12 განაცხადი – (4 მათგანს ეთქვა უარი, 8 განხილვაშია)
10. კომუნალური დავალიანების ჩამოწერა/განწილვადება – 10 განაცხადი (10 დაკმაყოფილდა განწილვადების ნაწილში)
11. სწავლის დაფინანსება – 12 განაცხადი (დაკმაყოფილდა 1, უარი ეთქვა 11 მათგანს).

რაც შეეხება დანარჩენ 171 განაცხადს, ისინი ეხება ცალკეულ თემებს, როგორიცაა ერთჯერადი მატერიალური დახმარება, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ. აღნიშნული გაანცხადები გადაეგზავნა სხვადასხვა უწყებებს.

# შეხვედრები

ბიუროს თანამშრომლები ორგანიზებას უწევენ მოქალაქეთა შეხვედრას საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან. შეხვედრების დღედ შერჩეულია ოთხშაბათი, როცა მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, პირადად ესაუბრონ დეპუტატს არსებულ პრობლემატიკაზე.

ბიუროს გახსნიდან დრემდე დეპუტატმა გამართა 53 შეხვედრა და შეხვდა 2706 მოქალაქეს. გარდა ოთხშაბათისა, ხშირია მოქალაქეთა მიღება ბიუროში კვირის სხვა დღეებშიც. ამ ფორმით დეპუტატი შეხვდა კიდევ 574 მოქალაქეს. გარდა აღნიშნულისა, ბიუროში დეპუტატის არყოფნის პერიოდში მოქალაქეთა მიღებას სისტემატურად აწარმოებენ ბიუროს თანამშრომლები, რომლებიც მოქალაქეებს უწევენ კვალიფიციურ კონსულტაციას, აგრეთვე ახდენენ პრობლემატიკის ადგილზე შესწავლა-დასურათებას.

საკმაოდ დიდია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელიც ითხოვს თავშესაფარს, ასევე დიდია დასაქმების მსურველთა რიცხვი. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მიმართავს საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მედიკამენტებისა თუ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თხოვნით, აგრეთვე მოქალაქეები ითხოვენ საცხოვრებელი ბინებისა და სახლების გასამაგრებლად საჭირო სამშენებლო-სარემონტო მასალების. რაც შეეხება კეთილმოწყობის სფეროს, აქტუალურია გზების მოხრეშვა-მოასფალტების საკითხი, ასევე ცარე განათების, სანიაღვრე და წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვინაიდან დეპუტატის შეამდგომლობა გარკვეულ ვადებთან არის დაკავშირებული, ხშირი იყო შემთხვევები, როცა მოქალაქეებს ზეპირი კონულტაციის საფუძველზე თავად შექონდათ განაცხადი მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე თბილისის მერიაში და გამგეობაში. შემდგომ ამისა აღნიშნული განცხადებების კონტროლზე აყვანა ხდებოდა დეპუტატის მიერ სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. ამ ფორმატით დაფინანსება გაეწია 82 მოქალაქეს დეპუტატის ზეპირი შუამდგომლობის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს

ისიც, რომ გარდა სხვადასხვა უწყებებთან შუამდგომლობისა, დეპუტატმა პირადი სახსრებით ეროვნერადი მატერიალური დახმარება გაუწია 23 სოციალურად დაუცველ, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახს (ჯამში 3700 ლარის ოდენობით).

აღსანიშნავია ასევე, რომ კობა კობალაძის ინიციატივით მაჟორიტარულ ოლქში სხვადასხვა დროს მოწვეულ იქნენ ქ.თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები, კერძოდ სოდამხედველობის, სატრანსპორტო, კეთილმოწყობის, სპორტისა და განათლების, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურები, აგრეთვე შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" და ელდანის რაიონის გამგებელი, რომლებმაც საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად გამართეს შეხვედრები მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტის პრობლემების ადგილზე შესწავლის მიზნით. მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, პირადად ესაუბრათ მათთან არსებულ პრობლემატურ საკითხებზე.

გარდა აღნიშნულისა, პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით ბიერი ორგანიზებას უწევს დეპუტატის შეხვედრებს მოსახლეობასთან, აგრეთვე – მაქსიმალურ ჩართულობას ყველა მნიშვნელოვან აქციასა თუ ღონისძიებაში. კერძოდ:

- 2014 წლის 18 სექტემბერს გაიმართა შესვედრა ლიბანის ქუჩის მცხოვრებლებთან.
- 2014 წლის 20 სექტემბერს დეპუტატის მიერ განხორციელდა ლიბანის №31 მდებარე უფასო სასადილოს მონიტორინგი.
- 2014 წლის 27 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა ავჭალა 2-ის დასახლებაში, ცადადიანის ქუჩის მცხოვრებლებთან.
- 2014 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა 26 მაისის ქუჩაზე, 1200 მმ. მაგისტრალური მილის განახლების პროცესის მონიტორინგი ჩატარდა GWP წარმომადგენელთან, ეკა ბერიძესთან და საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარესთან, გოჩა ბაბუნაშვილთან ერთად.
- 2014 წლის 26 ოქტომბერს მაჟორიტარი დეპუტატი დაესწრო თბილისობასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებს, ბიურის თანამშრომლებმა პირადი და დეპუტატის სახსრებით შეიძინეს სხვადასხვა სახის პროდუქტი და საჩუქრად გადასცეს 6 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

- 2014 წლის 29 ოქტომბერს დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე ს/ს "სარაჯიშვილის" მიერ დაფინანსდა რაგბის გუნდ "წიქარას" ეკიპირება და ვიზიტი აჭარის თასის ჩემპიონატზე.
- 2014 წლის 7 ნოემბერს დეპუტატმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ერთად მიიღო მონწილეობა დ.სარაჯიშვილის გამზირზე გაიმართულ გამწვანების აქციაში.
- 2014 წლის 17 ნოემბერს მაჟორიტარი დეპუტატი შეხვდა გლდანის ხევის მოსახლეობას. (აღნიშნული დასახლებაში დეპუტატის შუამდგომლობით მოხდა კიბის მოწყობა-განათება)
- 2014 წლის 4 დეკემბერს სოფელ გლდანის მცხოვრებლებთან და მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელთან გიორგი არეშიძესთან ერთად დეპუტატმა მოინახულა კულა გლდანელის სახელობის სპორტდარბაზი, რომლის რეაბილიტაცია დაიწყება 2016 წელს ამჟამად მიმდინარე სატენდერო პროცედურის დასრულებისთანავე. აგრეთვე შესვედრა გაიმართა სასტუმრო "ბახტრიონში" მცხოვრებ დევნილებთან, სადაც განხილულ იქნა წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირება სასტუმრო 'ბახტრიონის" მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობის თაობაზე. დღეისათვის სპორტული მოედნის მოწყობა პრაქტიკულად დასრულებულია, უახლოეს მომავალში იგეგმება გახსნის ღონისძიება სა'ზეიმო ვითარებაში, სადაც სიამოვნებით ვიწვევთ დამსწრე საზოგადოებას.
- 2014 წლის 12 დეკემბრიდან 2014 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით დეპუტატის დაფინანსებით გამოცდებისათვის მოსამზადებელი ტრენინგი ჩაუტარდა 12 ადამიანს. შვიდმა მათგანმა ბარიერი გადალახა წარმატებით.
- 2014 წლის 17 დეკემბერს გლდანის რაიონის გამგებელთან ერთად დეპუტატი ეწვია სოფელ გლდანის 209 საჯარო სკოლას.

- 2014 წლის 20 დეკემბერს ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევა კლინიკა "მედ+"-ში 33 ადამიანს.
- 2014 წლის 31 დეკემბერს, ოთხშაბათს, ბიუროში გაიმართა ტრადიციული შეხვედრა მოსახლეობასთან. მოქალაქეებს საჩუქრად გადაეცათ ტკბილეული, ხოლო სოციალურად დაუცველ 12 ბავშვს – ცირკის ბილეთები.
- 2015 წლის 19 იანვარს დეპუტატის ინიციატივით საკრებულოს თამჯდომარემ და ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" სხვა დეპუტატებმა პატივი მიაგეს აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას შინდისში.
- 2015 წლის 29 იანვარს ავჭალაში პეტრე მოციქულის სახელობის ტაძარში დაესწრო წირვას და მოსახლეობას მიულოცა პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის დღესასწაული. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ დღესასწაულს ავჭალის მოსახლეობა განსაკუთრებულად ზეიმობს.
- 2015 წლის 9 თებერვალს დეპუტატი გამგეობის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სტუმრობდა წყალსადენის ქუჩაზე სასტუმრო "ბაზტრიონში" ჩასახლებულ დევნილთა საცხოვრებელს, სადაც დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიცვალა სახურავი. იმავე დღეს დეპუტატი ესტუმრა სოფელ გლდანში რუსთაველის, კულა გლდანელის, სააკაძისა და მიმდებარე ქუჩებს, სადაც არ ფუნქციონირებდა საკანალიზაციო ქსელი. დეპუტატის აქტიური ჩარევის შედეგად მოხდა საკანალიზაციო ქსელის მოწყობა მითითებულ ტერიტორიებზე. ასევე დეპუტატის შუამდგომლობით ჩატარდა ლიბანისა და 26 მაისის ქუჩების დამაკავშირებელი გზის კაპიტალური რემონტი. აღნიშნელი საგზაო მონაკვეთი უდიდესი მნიშვნელობის მქონეა სოფ.გლდანის მოსახლეობისათვის საგზაო-სატრანსპორტო თვალსაზრისით, რადგან ფაქტობრივად აერთებს სოფ.გლდანს ავჭალის ცენტრალურ საგზაო მაგისტრალთან.

- 2015 წლის 12 მარტს გაიმართა შეხვედრა ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც მოეწყო ქვეითთა გადასასვლელი დ.სარაჯიშვილის გამ'ხირ'ხე ღვთისმ'მობლის მიძინების ტაძართან, აგრეთვე დამონტაჟდა შუქიშანი. აღსანიშნავია, რომ 'ხემოხსენებულ მონაკვეთზე ხშირი იყო ავტოსაგ'ხაო შემთხვევები ფეხით მოსიარულთა ინტენსიური მოძრაობის გამო, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული საშუალო სკოლების მოწაფეები წარმოდგენდნენ. ქვეითთა გადასასვლელისა და შუქნიშნის დამონტაჟების შედეგად აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტოსაგ'ხაო შემთხვევების რისკი მინიმუმამდე იქნა შემცირებული.
- 2015 წლის 14 მარტს მოწვეულ იქნა შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წარმომდგენელი, ომარ გოცირიძე, რომელთან ერთადაც დეპუტატი ესტუმრა სოფ.გლდანში დ.თავდადებულის ქუჩის მოსახლეობას. აღნიშნულის შედეგად მოხდა მითითებულ მისამართ'ხე მცხოვრები 25 ოჯახის წყალმომარაგებით უ'ზრუნველყოფა.
- 2015 წლის 5 აპრილს დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა 59-ე საჯარო სკოლაში გამართულ გამწვანების აქციაში.
- 2015 წლის 12 აპრილს დეპუტატმა გლდანის რაიონში მცხოვრებ 5 სოციალურად დაუცველ ოჯახს მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და გადასცა საჩუქრები.
- 2015 წლის 18 აპრილს გაიმართა შეხვედრა ჩიქვანაიას ქუჩის მცხოვრებლებთან (რომლებმაც ორჯერ გადაკეტეს გ'სა და მათთან შეხვედრას აწარმოებდა დეპუტატის ბიურო და ავჭალა-გლდანის ხევის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლები). დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველ'ხე ამჟამად მიმდინარეობს და ეახლოეს მომავალ'ში დასრულდება აღნიშნული ქუჩის რეაბილიტაცია, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 300 000 ლარს. სარებილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს ქ.თბილისის მერია. სამუშაო პროცესში გაირკვა რომ შეცვლას საჭიროებდა წყალმომარაგების ქსელი.

დეპუტატის აქტიური ჩართულობის საფუძველზე სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული იქნა შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", რის შედეგადაც შეიცვალა 350 მ. სიგრძის წყალმომარაგების მილები.

- 2015 წლის 9 მაისს დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე რაგბის გუნდი "წიქარა" ქ.თბილისის მერიის მიერ დაფინანსდა 11 000 ლარით, რამაც გუნდს საშუალება მისცა გამგზავრებულიყო აზერბაიჯანში საერთაშორისო ტურნირზე, სადაც "წიქარამ" I და III ადგილები დაიკავა.
- 2015 წლის 9 მაისს დეპუტატმა მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების დღე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებს, ხოლო ერთერთ მათგანს, ალექსი ბოლქვაძეს პირადად გადასცა მედალი და სხვადასხვა საჩუქრები.
- 2015 წლის 13 მაისს დეპუტატმა ს.ს. "სარაჯიშვილისა" და ქ.თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლა რაგბის გუნდ "წიქარას" ბიუროში და მიულოცა აზერბაიჯანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ ტურნირის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა გუნდ "წიქარას" მოთამაშე.
- 2015 წლის 1 ივნისს, დეპუტატის ინიციატივითა და ორგანიზებით ავჭალის 8 სკოლის 90 აღსაზრდელი გაემგზავრა ექსკურსიაზე. "აისის" 47 აღსაზრდელს, ასევე ასლანიშვილების მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა საჩუქრები და ტკბილეული. გარდა ამისა დეპუტატი დაესწრო 16-ე საჯარო სკოლაში გამართულ კონცერტს, აგრეთვე გამართა შეხვედრა ბიუროში, სადაც სოციალურად დაუცველ 60 ბავშვს გადასცა საჩუქრები.
- 2015 წლის 14 ივნისს დეპუტატის პირადი სახსრებით მოხდა ათი ადამიანის უზრუნველყოფა შესაბამისი აღჭურვილობით და ჩართვა სტიქიის ზონაში მიმდინარე სამუშაოებში, რომელშიც დეპუტატმა უშუალო მონაწილეობა მიიღო.
- 2015 წლის 10 ივლისს დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე დ.სარაჯიშვილის №5-ში განახლდა "ლიბერთი ბანკის" ფილიალის

ფუნქციონირება, რამაც ხელმისაწვდომი გახადა საბანკო მომსახურება მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველ მოსახლეობისათვის.

- 2015 წლის 15 ივლისს დეპუტატმა მოინახულა გლდანის რაიონში აფეთქების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსი ბატონ სოსო ჯაჭველიანთან ერთად.
- 2015 წლის 21 ივლისს შედგა შეხვედრა აღნიშნული კორპუსის მცხოვრებლებთან, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ გლდანის რაიონის გამგებელი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები. გვსურს, მადლობა გადაეუხადოთ გლდანის რაიონის გამგეობასა და სასტუმრო "დკდ"-ს ხელმძღვანელობას ეფექტური მუშაობისათვის.
- 2015 წლის 23 ივლისს დეპუტატმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა ავჭალაში, კერძოდ ჩიქვანაიას, კეცხოველის, ჭიჭინაძისა და კაჭარავას ქუჩებზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აღნიშნულ ქუჩებზე (გარდა ჩიქვანაიას ქუჩისა) დღეის მდგომარეობით სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.
- 2015 წლის 14 აგვისტოს დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე თიანეთის გზატკეცილზე მოეწყო საგზაო ნიშნები, დამონტაჟდა სამანქანო მოძრაობის სიჩქარის შემაფერხებელი ხელოვნური ბარიერები და "ტექნიშანი". ზემოხსენებულ მონაკვეთზე ხშირი იყო ავტოსაგზაო შემოხვევები ფატალური შედეგით. აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შედეგად რისკი მინიმუმამდე იქნა შემცირებული.
- 2015 წლის 25 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა სოფ.გლდანის მოსახლეობასთან (კულა გლდანელის, რუსთაველისა და მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლებთან) დათვალიერდა რეაბილიტაციის პროცესში მყოფი საკანალიზაციო ქსელი, რომელიც დღეის მდგომარეობით დასრულებულია. მომავალი წლის ბიუჯეტის

ფარგლებში იგეგმება მიმდებარე ქუჩების კანალიზირება და დაერთება ცენტრალურ ქსელზე.

- 2015 წლის 10 სექტემბერს ბიჭვინთის II ჩიხში დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე მოეწყო წყალმომარაგების ქსელი.
- 2015 წლის 1 ოქტომბერს დეპუტატი შეხვდა ლიბანისა და კაჭარავას ქუჩების მცხოვრებლებს.
- დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე მოხდა ავჭალა 2-ის დასახლებაში ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას გზების მოხრეშვა, აგრეთვე ზედამხედველობის სამსახურის მიერ ზაჰესის სკვერიდან რკინის ჯიხურების აღება, სოლო ლიბანის ქუჩაზე არსებული სკვერიდან ძველი უსახური კედლის ნანგრევების გატანა.
- კობა კობალაძის ინიციატივით გლდანის რაიონის გამგეობის მიერ განხორციელდა სეთ თოფ ბოქსების შეძენა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის. სეთ თოქ ბოქსები ასევე შეძენილ იქნა უშუალოდ დეპუტატის სახსრებით და გადაეცა საჩუქრად რამდენიმე სოციალურად დაუცველ ოჯახს.

## ძირითადი პრობლემატიკა

დეპუტატის დავალებით ბიუროს თანამშრომლებმა შეისწავლეს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლები, ბაღები, პოლიკლინიკები და უფასო სასადილოები. აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაცია ამეკვარად გამოიყურება:

ავჭალის მუნიციპალიტეტის ემსახურება 8 სკოლა, 8 ბაგა-ბაღი, 4 პოლიკლინიკა და 2 უფასო სასადილო.

## ავჭალის ბაგა-ბაღები

რაიონში ფუნქციონირებს 8 ბაგა-ბაღი, რაც არასაკმარისია რაიონის მოსახლეობისთვის.
სოფ.გლდანში წინა ხელისუფლების პერიოდში გაყიდულ იქნა 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის შენობა, რის შედეგადაც სოფელ გლდანის მოსახლეობა იძულებულია ისარგებლოს ავჭალის მუნიციპალიტეტში არსებული სხვა ბაგა-ბაღების მომსახურებით. აღნიშნული დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან, რეგორიცაა საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის განკუთვნილი ადგილების შეზღუდული რაოდენობა, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც საკმაოდ მძიმედ აისახება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე და სხვ.

ხემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა დამატებით ახალი ბაგა-ბაღების გახსნა. აღნიშნულთან დაკავშირებით დეპუტატის შუამდგომლობა გაეგზავნა ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსს, ბატონ თემურ თორდინავას, რის შედეგადაც მივიღეთ დაპირება 2016 წლის ბიუჯეტის ფარგლებში ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობის თაობაზე.

## უფასო სასადილოები

ავჭალის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია უფასო სასადილოები. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მდგომარეობით უფასო სასადილოების ბენეფიციართა სიაში ჩასმას ელოდებოდა 600 მოქალაქე, აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით ეცნობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს, აგრეთვე საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ჯაბა სამუშიას. შედეგად ჩატარებულ იქნა სატენდერო სამუშაოები, მოხდა არსებული სასადილოების გაფართოება და ბენეფიციართა ოდენობის გაზრდა, რამაც მეტნაკლებად მოაწესრიგა აღნიშნული პრობლემა.

## პოლიკლინიკები

ცალკე საკითხია რაიონში საავადმყოფოს არარსებობა. პოლიკლინიკები, რომელთა რაოდენობა რაიონის მასშტაბით სულ ოთხია, ინფრასტრუქტურულად გაუმართავია და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სიმრავლიდან გამომდინარე სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული ოთხი კლინიკა ვერ ახერხებს გაუწიოს მოსახლეობას ის მომსახურება, რასაც გაუწევდა თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურულად გამართული ერთი კლინიკა. ილორის №14 მდებარე პოლიკლინიკის შენობის ნაწილი ამჟამად დაკავებულია შეჭრილი პირების მიერ, რაც ხელს უშლის პოლიკლინიკის სრულყოფილ ფუნქციონირებას. რომელთა აგრეთვე რაიონში არ არსებობს სააფთიაქო ქსელი, რაც უარყოფითად აისახება მედიკამენტების ფასზე.

## ინფრასტრუქტურა

გარდა ამისა, ავჭალის მუნიციპალიტეტში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს გზები, სანიაღვრე სისტემა, კანალიზაცია, გარე განათება და სხვა კომუნიკაციები, აგრეთვე სპორტული მოედნებისა და სკვერების არარსებობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა იმ ტერიტორიაზე, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ შემოუერთდა თბილისს (მაგ. ზაჰესი, ავჭალა 2-ის დასახლება და სოფელი ელდანი). დეპუტატის ბიუროს მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პრობლემატიკა, რაზეც შესაბამისი შუამდგომლობები გადაეგზავნა ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურსა და ელდანის რაიონის გამგეობას, აგრეთვე - შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს". აღნიშნულ საკითხთა ეფექტურად გადაჭრის მიზნით 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდება ერთობლივად ელდანის რაიონის გამგეობისა და დეპუტატის ბიუროს მიერ.

ასევე პრობლემური საკითხია მუნიციპალური ტრანსპორტი. გამომდინარე იქიდან, რომ რაიონში არ არსებობს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, აღნიშნულ დაწესებულებათა მომსახურების მისაღებად მოსახლეობას უწევს თბილისის სხვადასხვა რაიონებში სიარული, რაც, დასახლებებში უგზოობის გამო (მაგ. ავჭალა II დასახლება, ცდადიანის ქუჩა, ზაჰესი და სხვა)

მოსახლეობას არა აქვს წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, რომელიც საღამოს 8ჟიდი საათის შემდეგ ფაქტობრივად აღარ მოძრაობს. აღნიშნული საკითხის თაობაზე წერილობით ეცნობა თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს, რის შემდეგაც საკითხის ადგილზე შესწავლის მიზნით მოწვეულ იქნა სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელი. საკითხი კონტროლზე იქნა აყვანილი და გადაწყდება სატრანსპორტო რესურსის განახლებისთანავე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე ავჭალის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა უსახერი გაჩერებების დემონტაჟი, რაც უახლოეს მომავალში შეიცვლება ახლით. აგრეთვე იგეგმება დ.სარაჯიშვილის გამზირზე არსებული უფუნქციო ჩოლის ათვისება გასართობ-დასასვენებელი ინფრასტრქუტურის მოწყობის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ყოველ პარასკევს ბიუროს ხელმძღვანელი ესწრება მოსახლეობის შეხვედრას ულდანის რაიონის გამგებელთან და პირად კონტროლზე აყავს რიგი საკითხები, რაც ავჭალის მუნიციპალიტეტის მოქალაქეების პრობლემებთანაა დაკავშირებული. შემდგომ ხდება აღნიშნულ საკითხთა ადგილზე შესწავლა, მოქალაქეთა დახმარება გამგეობაში წარსადგენი დოკუმენტაციის მოპოვებაში. გარდა ამისა ბიუროს თანამშრომლები სისტემატურად ახორციელებენ ვიზიტებს, იმ მოქალაქეებთან, ვინც საწერილია გამგებელთან შეხვედრაზე, რათა გამგებელს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ თითოეული მოქალაქის პრობლემებზე.

დასასრულს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ წინა ხელისუფლების დროს გაიცა წერილობითი დაპირებები მოქალაქეთა განცხადებების საპასუხოდ რიგი ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგების თაობაზე, რაც ვადებში მოიცავდა 2015 და 2016 წლებს. უნებრივია, მსგავსი სახის დაპირებები წარმოადგენდა ნელი მოქმედების ნაღმს, რაც სამწუხაროდ დღეს მოდის მოქმედებაში და მოსახლეობაში ქმნის ილუზიას, რომ ზემოხსენებული საკითხები ძველი ხელისუფლების დარჩენის შემთხვევაში მოგვარებული იქნებოდა. ვსურს განვაცხადოთ, რომ არ დავიშურებთ ძალისხმევას, რათა ჩვენი სადეპუტატო უფლებამოსილების ვადაში შესრულდეს ყველა ის დაპირება, რაც გაცემულ იქნა "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ კობა კობალაძეს

ბატონო კობა,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

22/31 6/6/7

საკრებულოს აპარატის უფროსი

ეკ. დუმბაძე

ქალაქ თბილისის საკრებულო

№ 10/18489

"12" ოქტომბერი 2015 წ.

ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი

0105. ოფისუფლების მოედანი №2

*დანართი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

*(სახელი; გვარი)* *(ხელმოწერა)*

10/18489
12.10.15

*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ კობა კობალაძეს

ბატონო კობა,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

*დანართი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

*(სახელი; გვარი)* *(ხელმოწერა)*